უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 49

20 19 წ. „18“ 12

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს (უნივერსიტეტი) (ს/კ 205233022) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 000 - ით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 18 დეკემბრის №25 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე:

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ქეთევან ცხადაძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი (0701)	240	აკრედიტებული	2012.11.12 #783
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	აკრედიტებული	2019.04.04 #93
3	ტურიზმის ბიზნესი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (0205)	240	აკრედიტებული	2012.01.02 # 29
4	კომპიუტერული მეცნიერება	ქართული	კომპიუტინგის ბაკალავრი (0401)	240	აკრედიტებული	31.08.2017 #61
5	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0707)	240	აკრედიტებული	19.11.2018 # 183
6	სოციალური მუშაობა	ქართული	სოციალური მუშაობის ბაკალავრი (1107)	240	აკრედიტებული	2012.11.12 #782
7	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი (0701)	120	ავტორიზებული	2014.07.02 #16
8	ბიზნესის ადმინისტრირე ბა (მენეჯმენტი)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (0203)	120	ავტორიზებული	2014.27.05 #114
9	სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის მაგისტრი (0707)	120	აკრედიტებული	2016.16.08 #96
10	ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება	ქართული	ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრი (070703)	120	აკრედიტებული	2019.04.04 #91
11	ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში (1004)	240	აკრედიტებული	22.11.2018 #157
12	საქართველოს ისტორია	ქართული	საქართველოს ისტორიის მაგისტრი (100401)	120	აკრედიტებული	04.07.2019 #152
13	საქართველოს ისტორია	ქართული	ისტორიის დოქტორი (1004)	180	აკრედიტებული	07.12.2018 #203
14	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი, (06)	240	აკრედიტებული	07.12.2018 #202
15	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი (06)	120	აკრედიტებული	07.10.2017 #42

16	ქართული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრი (სპეციალიზაცია : ქართული ფილოლოგია); (1005)	240	აკრედიტებული	26.11.2018 #162
17	ინგლისური ფილოლოგია	ქართული (სპეციალობაზე ორიენტირებული ზოგიერთი საგანი ინგლისურ ენაზე)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით (100502)	240	აკრედიტებული	07.11.2014 #201
18	ქართული ლიტერატურის ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (სპეციალობა: ფილოლოგია, სპეციალიზაცია: ქართული ლიტერატურის ისტორია) (100522)	120	აკრედიტებული	07.08.2015 #129
19	ენათმეცნიერება	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი სპეციალობით ფილოლოგია, სპეციალიზაციით ქართველური ენათმეცნიერება (100518)	120	ავტორიზებული	10.02.2014 #29
20	საჯარო მმართველობა	ქართული, უცხოენოვანი (ინგლისური /გერმანული) კომპონენტით	საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109)	120	აკრედიტებული	03.08.2017 #52
21	ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგიის დოქტორი (1005)	180	აკრედიტებული	26.11.2018 #163
22	საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები	ქართული	რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი (1104)	240	აკრედიტებული	2012.11.12 #786
23	მასწავლებლის მომზადების პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული	2.14.2017 #10
24	ქართული ფილოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი სპეციალობით: ქართული ფილოლოგია სპეციალიზაციით: ა) ქართველური ენათმეცნიერება /0232.2.2/; ბ) ქართული ლიტერატურის ისტორია /0232.2.4/.	120	აკრედიტებული	21.11.2019 #211